დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს

წლის № დადგენილებით

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,

ასოც. პროფესორი მერაბ ხალვაში

განხილულია ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 2017 წელი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი:

პროფესორი ვლადიმერ ღლონტი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა

# ბუღალტერ-ტექნიკოსი

**პროგრამის განმახორციელებელი:**

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი,
ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, 6010
ტელ: +995(422) 27–17–80
ფაქსი: +995(422) 29-29-84
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

**პროგრამის ხელმძღვანელები:**

**ვაჟა ვერულიძე** - პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

**თამთა ბერიძე** - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

**ბათუმი**
**2017**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი

I. **სახელწოდება:** ბუღალტერ-ტექნიკოსი

II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 04106-3

III. **პროფესიულიკვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:** მესამე

IV. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. **საკანონმდებლო ბაზა:**

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბუღალტერ-ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი

VI. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება
მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

VII. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბიზნეს ერთეულებში, როგორც ბუღალტერი, საფინანსო სამსახურის (ბუღალტერიის) სპეციალისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი (დამხმარე ბუღალტერი, რომლის სამუშაო ადგილი ბიზნეს ერთეულებში შეიძლება მოიხსენიებოდეს, როგორც ბუღალტრის მოადგილე, ბუღალტრის ასისტენტი და სხვ.) და ა.შ.

VIII. **პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია მისცეს პირს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების, საგადასახადო დაბეგვრის ზოგადი პრინციპებისა და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობისათვის აუცილებელი ძირითადი საკითხების ცოდნა.

გამოუმუშაოს სამეურნეო ოპერაციის აღქმისა და შეფასების, სამეურნეო ოპერაციის დოკუმენტირების, ბუღალტრული მონაცემების დაჯგუფებისა და რეგისტრაციის, საბუღალტრო რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციის ასახვის, ბუღალტრული ანგარიშების დახურვის, საშემოსავლო და დღგ-ის აღრიცხვის, საცდელი ბალანსის შედგენის, დანახარჯების კლასიფიკაციის, პერიოდიზაციისა და თვითღირებულების კალკულაციის, შიდა მენეჯმენტისთვის ანგარიშგების შედგენა-წარდგენისა და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის გამოყენების უნარები;

შექმნას და გაამართლოს საზოგადოების მოლოდინი, რომ ამ პროგრამით მომზადებული სპეციალისტები დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკისა და კონფიდენციალობის დაცვით, აღჭურვილები იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების მოპოვებაში მონაწილეობა
- სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში და კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით
- შიდა მოხმარების მიზნით (ოპერატიული მართვისათვის) ანგარიშგების მომზადება-წარდგენა
- საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მონაწილეობა
- პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 93 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 17 სასწავლო თვე

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

| სავალდებულო ზოგადი მოდულები | | სავალდებულო პროფესიული მოდულები | | არჩევითი მოდული/მოდულები | |
|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | კრედიტი | დასახელება | კრედიტი | დასახელება | კრედიტი |
| კომუნიკაცია | 2 | გაცნობითი პრაქტიკა-ბუღალტერ-ტექნიკოსი | 2 | მონაცემთა ბაზებთან მუშაობა | 3 |
| რაოდენობრივი წიგნიერება | 2 | საწარმოო პრაქტიკა-ბუღალტერ-ტექნიკოსი | 8 | პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის ნორმების დაცვა | 2 |
| საინფორმაციო ტექნოლოგიები | 2 | პრაქტიკული პროექტი-ბუღალტერ-ტექნიკოსი | 5 | ნაღდი ანგარიშსწორებ ის ოპერაციები | 4 |
| მეწარმეობა | 4 | პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაცია | 5 | Ms Excel | 6 |
| პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები | 1 | სააღრიცხვო მონაცემთა ბაზები | 7 | | |
| უცხოური ენა | 4 | კომპიუტერულისაბუ ღალტრო პროგრამა | 5 | | |
| ქართული ენა A2 | 15 | საგადასახადო ვალდებულებები | 7 | | |
| სამოქალაქო განათლება | 2 | ანგარიშგებების მომზადება | 3 | | |
| | | ინვენტარიზაცია | 4 | | |
| სულ: | 32 | სულ: | 46 | სულ: | 15 |

## XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში
6. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

## XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 15 კრედიტი.

XIV. დანართები:

დანართი №1 - სასწავლო გეგმა;
დანართი №2- სასწავლო გეგმა;
დანართი №3- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.

ზოგადი სავალდებულო მოდულები:

დანართი 4. 0020101 - რაოდენობრივი წიგნიერება;
დანართი 5. 0030102 - კომუნიკაცია;
დანართი 6. 0230101 - უცხოური ენა;
დანართი 7. 0410001- მეწარმეობა;
დანართი 8. 0610001 - საინფორმაციო ტექნოლოგიები;
დანართი 9. 0030101 - პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები;
დანართი 10. 0110003 - სამოქალაქო განათლება;
დანართი 11. 0110001 - ქართული ენა A2.

სავალდებულო პროფესიული მოდულები:

დანართი 12. 0410601 - გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტერ-ტექნიკოსი;
დანართი 13. 0410602 - საწარმოო პრაქტიკა - ბუღალტერ-ტექნიკოსი;
დანართი 14. 0410603 - პრაქტიკული პროექტი - ბუღალტერ-ტექნიკოსი;
დანართი 15. 0410604 - პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაცია;
დანართი 16. 0410605 - სააღრიცხვო მონაცემთა ბაზები;
დანართი 17. 0410606 - კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა;
დანართი 18. 0410607 - საგადასახადო ვალდებულებები;
დანართი 19. 0410608 - ანგარიშგებების მომზადება;
დანართი 20. 0410609 - ინვენტარიზაცია;

არჩევითი პროფესიული მოდულები:

დანართი 21. 0410106 - მონაცემთა ბაზებთან მუშაობა
დანართი 22. 0410115 - პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის ნორმების დაცვა
დანართი 23. 0410404 - ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციები
დანართი 24. 0410705 - Ms Excel